ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი **24.10. 2019 წელი**
16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

კომისიის წევრები: ზაალ სანაძე, ზურაბ კუკულავა, ზაზა წულაძე, კარლო კვიტაიშვილი.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ შალიკაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ირაკლი მარშანიშვილი, ოთარ პატიეშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

2.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ შალიკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დაეწერა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის N5/6005 წერილი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში 1444კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის უძრავი ქონების) ს/კ 27.04.51.275 სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ძირითადი (განუსხვისებელი) კატეგორიის მქონე უძრავ ქონებაზე (ს/კ 27.04.51.275), დღეის მდგომარეობით განთავსებულია ნიგოითის საზოგადოებრივი ცენტრი. ვინაიდან აღნიშნული უძრავი ქონება სრულად ემსახურება საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობის მიზნებს, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მოხდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი

(განუსხვისებელი) ქონების (მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა ს/კ 27.04.51.275) სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტროდან არის მომართვა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 121-ე მუხლით დადგენილი წესის საფუძველზე გასხვისდეს სახელმწიფოს სასარგებლოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. მერიის მიერ წარმოდგენილ პაკეტში საუბარია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, თუმცა საკუთრებაში არსებული ძირითადი განუსხვისებელი კატეგორიის მქონე უძრავ ქონებაზე დღეის მდგომარეობით განთავსებულია ნიგოითის საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივი ცენტრის საქმიანობას და მიზნებს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა კარლო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში ჟორდანიას ქუჩაზე სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები, ვინაიდან არის გაუსაძლისი მდგომარეობა. ამას ისიც ემატება, რომ სანიაღვრე არხების მიმდებარედ განთავსებულია სწრაფი კვების ობიექტები. დეპუტატის განმარტებით პრობლემა დროულად მოწესრიგებას საჭიროებს. იგი ასევე დაინტერესდა უსახური შენობების ბედით **(კინო, ინტერნატი)**

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ უნდა მომზადდეს წერილი, რათა მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უსახური შენობების ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა ან კიდევ მათი მხრიდან მოხდეს ამ უსახური შენობების მოწესრიგება.

კარლო კვიტაიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობის უკან ტერიტორიაზე კერძოდ, ჟორდანიას სკვერის მიმდებარედ აუცილებლად საჭიროა დაიგოს ასფალტის საფარი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №8

24.10.2019 წელი
16.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.10. 2019 წელი
16:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	15 30	
2	ზაზა წულაძე	15 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	15.55	
4	ალექსანდრე მახათაძე	[illegible]	
5	ზაალ სანაძე	15 55	
6	ოთარ პატიეშვილი	[illegible]	
7	ზურაბ კუკულავა	15 55	
8	ირაკლი მარშანიშვილი	[illegible]	